ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №41

აბაშა, 2022 წლის 13 ივნისი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, შ.პ.ს ,,ვი-ჯი-ეს ნეთვორქი"-ზე გადაცემის თაობაზე, აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ." ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 52-ე მუხლის, 180-ე მუხლის პირველი ნაწილის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის, 24-ე მუხლის, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა" და 2022 წლის 2 მაისის შ.პ.ს ,,ვი-ჯი-ეს ნეთვორქი"-ის დირექტორის ვახტანგ ჩიგოგიძის #10/102212224-10 წერილის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

1. მიეცეს თანხმობა აბაშის მუნიციპალიტეტის მერს, პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, მისცეს შ.პ.ს ,,ვი-ჯი-ეს ნეთვორქი"-ს (ს/ნ438724490), მისი დირექტორი ვახტანგ ჩიგოგიძის (პ/ნ37001006837) სახით (შემდგომში ,,მოიჯარე") აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებაზე: აბაშის მუნიციპალიტეტის სოფ. მარანში 30 ბოძი, სოფ. ქოლობანში 73 ბოძი, სოფ. გეზათში 24 ბოძი და სოფ. სამიქაოში 11 ბოძი, სულ 138 (ასოცდათვრამეტი) ცალი გარე განათების ბოძის კონსტრუქციაზე საჰაერო გზით კაბელის გაყვანის უფლება.
2. იჯარის ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 345.00 (სამასორმოცდახუთი) ლარით.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247).
4. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გ. ხოშტარია

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო
COUNCIL OF ABASHA MUNICIPALITY
GEORGIA
222448665